სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

16 ივლისი 2024

გადაწყვეტილება # P24000036/0-1 (16/07/2024 10:49:57)

რეგისტრაციის შესახებ

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ ცვლილებით რეგისტრაციის შესახებ

სახელწოდება: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 415030022

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე, 23–ე და 24-ე მუხლებისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1.რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ და პარტიის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი ერთობა გვარამია მელია“ /შემოკლებული დასახელება: „ახალი ერთობა“/.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.